ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გიორგი ჩიხლაძე

სუბურბანული დასახლებების ზრდის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

სამაგისტრო პროგრამა - სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ამირან ბერძენიშვილი- ფილოსოფიის დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

თსუ, თბილისი

2019

Contents

შესავალი 5

კვლევის მეთოდოლოგია 9

ლიტერატურის მიმოხილვა 12

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგები..... 17

პრივატიზაცია 20

გამოსახლეობის სტატისტიკა..... 23

საბანკო ვალდებულებები 25

დასაქმება..... 31

სახელმწიფო პოლიტიკა..... 38

ზრდის დინამიკა 2012-2019 წლებში..... 43

დასკვნა..... 48

ბიბლიოგრაფია 51

ანოტაცია

აღნიშნული კვლევის მიზანია, დაადგინოს, თუ რა მიზეზები განაპირობებენ სუბურბანული დასახლებების ზრდას აჭარიის ავტონომიურ რესპუბლიკაში. კვლევამ მოიცვა შემდეგი საკითხები: "ოცნების ქალაქში" მცხოვრები მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი, დასახლების ზრდის დინამიკის მახასიათებლების შესწავლა 2012-2019 წლებში, ეკოლოგიური მდგომარეობა რეგიონში, დეინდუსტრიალიზაციისა და პრივატიზაციის პოლიტიკის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ვითარება

კვლევა ეფუძნება მაიკ დევისის თეორიას, რომელიც წიგნში ბიდონვილების პლანეტა ცდილობს გამოკვეთოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების არსებობა 70-იანი წლების ნეოლიბერალური ეკონომიკის ახალი ტალღის დაწყებასა და განვითარებად სახელმწიფოებში ქოხმახების რიცხვის ზრდას შორის. დევისი ბიდონვილების სიმრავლეს ხსნის როგორც იმპერიალიზმის შედეგს - როგორ არიან არაფორმალურ დასახლებებში მცხოვრები ადამიანები პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პროცესებისგან გარიყულები.

კვლევაში ასევე განხილულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის პროგრამის ანგარიში, რომელიც არის პირველი მცდელობა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში აღწეროს ბიდონვილების განვითარების ისტორია და ზრდის დინამიკა.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, ინდივიდიალური და ექსპერტული ინტერვიუები. ნაშრომში წარმოდგენილია ერთი დამოუკიდებელი ცვლადი. დამოუკიდებელი ცვლადი N1 - სიღარიბე, როგორც ზრდის განმაპირობებელი ფაქტორი კვლევის პროცესში გამართლდა.

Abstract

The study aims at clarifying the reasons of the growth of slums in the Autonomous Republic of Ajara. The research includes the following topics: the socio-economic situation of the inhabitants of "Dream City", the analysis of the state policies, the examination of the reasons of the pooulation growth in 2012 -2019, the ecologic circumstances in the region, the impacts if deindustrialization and privatization on the country.

The paper is based on the theory of Mike Davis. In his book "the Planet of Slums", he tries to outline the link between neoliberal policies of since 70's and the growth of slums in developing nations. For Davis, the multiplicity of slums is the consequence of imperialism - the exclusion of the inhabitants of the slum from social, political and cultural life.

The study also discusses the report by the UN Habitat, which represents first attempt to describe the histiry and dynamics of slums around the world. The research will rely on the qualitative methods, namely interviews with indviduals and experts. The independent variable - poverty as reason for thegrowth of the slums - has been confirmed

შესავალი

2012 წლის წინასაარჩევნო დაპირისპირების დროს, როდესაც მმართველი პოლიტიკური ძალის ყურადღება გადართული იყო არჩევნების პირველივე ტურში მისი მთავარი კონკურენტის, პარტია ქართული ოცნების დამარცხებაზე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, უფრო ზუსტად ხელვაჩაურის რაიონში, ყოფილი 53-ე და23-ე საბჭოთა ბატალიონების ტერიტორიაზე 50-მდე ოჯახი შეიჭრა, მუყაოს ქოხები აიშენა და დასახლდა.

წინასაარჩევნო ბატალიებისას მეინსტრიმული თუ ადგილობრივი მედიის ყურადღება დასახლებამ ვერ მიიქცია. ცოტა ხანში მკაცრი ზამთარიც დაიწყო. მინიმალური სოციალური საჭიროებათა არარსებობის გამო, მუყაოს ქალაქის მაცხოვრებლებს იძულებულები გახდნენ დაკავებული ტერიტორია დაეტოვებინათ.

ქვეყანაში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლება შეიცვალა. სათავეში მოსული პარტია ქართული ოცნება წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად პირდებოდა მოსახლეობას სოციალური პრობლემების მოგვარებას. იმ იმედით, რომ მალე სხვადასხვა მიზეზების გამო უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები სახელმწიფოსგან მინიმალურ შემწეობას მიიღებდნენ დასახლებას „ოცნების ქალაქი დაარქვეს“.

თავდაპირველად, ათვისებული ტერიტორია 2-3 ჰექტარს შეადგენდა. მას შემდეგ, რაც სხვადასხვა მედია-სივრცეში აქტიურად დაიწყეს ლაპარაკი ოცნების ქალაქის შესახებ, მუყაოს ქალაქში შემოდინების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 2012 წლის მონაცემებით ადგილზე 50 ოჯახამდე ცხოვრობდა, დღეს მათი რიცხვი

არაოფიციალური მონაცემებით 2000-მდე მერყეობს. ასევე მნიშვნელოვნად გაზრდილია დასახლების მასშტაბი და ის 25 ჰა ტერიტორიას შეადგენს.

დასახლების ზრდის შესაჩერებლად, თავდაპირველად მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ მოსახლეობის გამარგინალურების სტრატეგია აირჩია. ხელისუფლება საწყის ეტაპზე, საგულდაგულოდ მალავდა ზრდის დინამიკის სტატისტიკურ მონაცემებს. ყველა საჯარო სივრცეში, სადაც ოცნების ქალაქის მაცხოვრებლებს მოპასუხე მხარედ ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები ჰყავდათ, აქტიურად აშუქებდნენ რამდენიმე მაცხოვრებლის საქმეს, რომლებსაც ალტერნატიული საცხოვრებლის არსებობა დაუდასტურდათ.

გამარგინალურების სტრატეგიამ არ იმუშავა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, სახელმწიფომ შეიმუშავა ახალი პოლიტიკა დასახლებაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. კვლევის პროცესში საინტერესოა ამ ორი პოლიტიკისა და ახალი სირთულეების ანალიზი.

ახალი პოლიტიკის პირობებში, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა თავიდან დაიწყეს მაცხოვრებელთა აღწერა და ერთიანი მონაცემთა ბაზის შემუშავება.

რა თქმა უნდა, დასახლების შექმნის მიზეზი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები არ ყოფილა. კვლევის მიზანიც სწორედ ესაა - დააკავშიროს საბჭოთა იმპერიის შემდეგ დაწყებული დეინდუსტრიალიზაციის, შემდეგ ჩამოშლილი პრივატიზაციის პოლიტიკისა და ნეოლიბერალური ახალი ეკონომიკური მოდელის დანერგვის პროცესი ერთმანეთთან.

2012 წელს წინ უძღვოდა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი, რომლის შედეგების ანალიზი ცალკე თავშია წარმოდგენილი. იმპერიის დაშლის შემდეგ ქვეყანაში არსებული ეკონომიკა შემცირდა. ეკონომისტი ვლადიმერ პაპავას აზრით, “ 1990-1994 წლებში საქართველოს ეკონომიკა სამჯერ და მეტად შემცირდა. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ პოსტკომუნისტური ეკონომიკა, როგორც წესი, მთლიანი შიგა პროდუქტის, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების, შრომის მწარმოებლურობის, ინვესტიციების, რეალური შემოსავლების დონის მნიშვნელოვან დაცემასთან ასოცირდება. დაზუსტების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქციის გამოშვება, უწინარეს ყოვლისა, იმ საწარმოებში შემცირდა, რომლებიც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებამდე შეიქმნა.” (პაპავა, 2015)

პროფესორი ჯონსის აზრით, “1990-1995 წლებში, რეალური მშპ ქვეყანაში 83%-ით შემცირდა. ასევე შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 63%-ით. ასეთი მდგომარეობა ტერიტორიის დაკარგვისა და ტრანსპორტირებისა და მიწოდების შეწყვეტის გამო შეიქმნა. სამრეწველო წარმოების ჩავარდნამ 1990-1995 წლებში 85,9%-ს მიაღწია. ყველაზე მეტად იზარალა შემდეგმა დარგებმა: სამრეწველო წარმოებამ (90%-იანი ვარდნა), მსუბუქმა მრეწველობამ (96%) და სათბობ-საწვავმა (97%). ფინანსური რეზერვების ამოწურვა და თავდაცვისთვის საჭირო სასწრაფო ხარჯები საკვები პროდუქტების მარაგების შემცირების მიზეზი გახდა 1993 წლის თებერვალში, სულ ოთხი დღის მარაგი იყო დარჩენილი, როცა ხელისუფლებამ კრედიტების ემისია დაუშვა, რითაც წლიური ინფლაცია გაზარდა 1990 წლის 5%-დან 15,607%-მდე 1994 წლისთვის”. (ჯონსი, 2013)

დასახლებაში მცხოვრებ ყველა ოჯახს თავისი ინდივიდუალური საჭიროებები აქვს, თუმცა სამიზნე ჯგუფების გამოყოფა შესაძლებელია. ოცნების ქალაქში ვხვდებით შემდეგ სამიზნე ჯგუფებს:

- ბანკებისა და ფინანსური დაწესებულებებისგან დაზარალებულები;
- ეკომიგრანტები აჭარისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან;
- მუსლიმური თემის წარმომადგენლები;
- ქალები;
- მრავალშვილიანი ოჯახები;
- უსახლკაროები;
- სპეციალური საჭიროების მქონე პირები;

ჩემი კვლევის მიზანია სუბურბანული დასახლებების ზრდის განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. კვლევის ამოცანებია:

- სლამის ზრდის დინამიკის მახასიათებლები 2012-2019 წლებში
- სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი
- დეინდუსტრიალიზაციისა და პრივატიზაციის შედეგად რეგიონში შექმნილი ვითარება
- მოსახლეობის საბანკო ვალდებულებების შესწავლა
- რეგიონში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა
- დასაქმების პოლიტიკის ანალიზი

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდები, ინდივიდუალური (ექსპერტული და სიღრმისეული) ინტერვიუები. კვლევის პროცესში ჩავატარე 22 ინტერვიუ. 20 ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთან და 2 ექსპერტთან. ველზე ვმუშაობდი 2019 წლის ივნისის თვეში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 53-ე და 25-ე საბჭოთა ბატალიონის ტერიტორიაზე მცხოვრებმა პირებმა. ცხრილში მოცემულია ინტერვიუს ჩატარების ადგილისა და გენდერული განაწილების შესახებ მონაცემები. (ცხრილი 1)

(ცხრილი N1)

ადგილმდებარეობა	ინტერვიუს რაოდენობა
53-ე საბჭოთა ბატალიონის ტერიტორია	12
25-ე საბჭოთა ბატალიონის ტერიტორია	8
სულ	20

რესპონდენტთა რეკრუტირებისთვის გამოვიყენე „თოვლის გუნდისა“ და მიზნობრივი შერჩევის მეთოდები. როგორც წინა კვლევის დროს, ისე ახლაც, ოცნების ქალაქში მცხოვრები მოსახლეობა ღიად და დაუფარავად არსებული პრობლემების შესახებ საუბარს ერიდება. დასახლების დღიდან დღემდე, ცალკეული ადამიანების მხრიდან პრობლემებზე საჯაროდ საუბარმა აჩვენა, რომ ისინი მინიმალური სოციალური

დახმარების მიღმა აღმოჩნდნენ. ამ მეთოდს სახელმწიფოს ადგილობრივი წარმომადგენლები აქტიურად იყენებენ პრობლემის დასაკონსერვებლად. შესაბამისად, ველზე ინტერვიუირების პროცესი ამ ასპექტით სირთულეს წარმოადგენდს. ადგილობრივ მოსახლეობას აქვს ლეგიტიმური შიშები დემონსტრაციულად „დასჯილი“ მათი მეზობლების მსგავსად, რომლებიც არ მოერიდნენ პრობლემის საჯარო სივრცეში გატანას, ისინიც არ დარჩნენ მინიმალური შემწეობის გარეშე.

ასევე, კვლევის პროცესში დამატებით სირთულეს წარმოადგენდა ერთი საინტერესო გარემოება. დასახლებაში, მმართველ პოლიტიკურ ძალას საკუთარი პარტიული ინტერესის მქონე აქტორები ჰყავს, რომლებიც ადგილზე ჩასულ მკვლევრებთან თუ ჟურნალისტებთან კომუნიკაციაზე არიან პასუხისმგებლები. მათი ფუნქცია ისაა, რომ დამახინჯდეს დასახლების რეალური სურათი და კვლევის დროს შეგროვებული ინფორმაცია ბოლომდე არ ასახავდეს არსებულ მდგომარეობას. სისტემა იმდენად ეფექტურადაა აწყობილი, რომ ჩასვლისა და პირველადი კომუნიკაციის შემდეგ, აქტორები გთავაზობენ რესპონდენტების მოძიებას სიღრმისეული ინტერვიუს ჩასატარებლად. ინტერვიუს პროცესში მარტივია იმის მიხვედრა, რომ მისამართი, რომელზეც ინტერვიუს ჩასატარებლად მიხვედი აქტორთან ერთად პარტიული ნიშნითაა შერჩეული. რა თქმა უნდა, ეს ადამიანები ენთუზიაზმით არ ასრულებენ ადგილობრივი სახელისუფლებო შტოებისგან მიღებულ დავალებებს. მინიმალური ერთჯერადი დახმარებები, რომელსაც ხელისუფლება გასცემს ხოლმე, ექსკლუზიურად მათ ხვდებათ.

მიუხედავად სირთულისა, რეკრუტირების პროცესში დამეხმარა ინფორმანტი, ე.წ gatekeeper[1]-ი, რომელიც გავიცანი მაშინ, როდესაც პირველად, 2016 წელს ვიმყოფებოდი კვლევის ჩასატარებლად „ოცნების ქალაქში“.

[1] Gatekeeper-ი არის ადამიანი, რომელიც აკავშირებს კვლევარს და პოტენციურ რესპონდენტს ერთმანეთს.

საკვლევი ლოკაციების განსაზღვრისას ვიხელმძღვანელე ჩემი პირველი კვლევით, რომელიც მიზნად ისახავდა „მუყაოს ქალაქში“ მცხოვრები მოსახლეობის სოციალური საჭიროებების აღწერას. ასევე, კვლევის პროცესში დავიხმარე google earth-ის პროგრამა, რომელიც საშუალებას გვაძლევს სატელიტის გამოყენებით დინამიკაში დავაკვირდეთ ბიდონვილების ზრდის მასშტაბებს. კვლევის პროცესში მოვნიშნე 2016 წლის შემდეგ წარმოქმნილი ახალი დასახლებები და მათთან ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუ.

სუბურბანული დასახლებების ზრდის განმაპირობებელი ფაქტორების გამოსაკვეთად ჩავატარე 2 ექსპერტული ინტერვიუ. პირველი ექსპერტი არის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ცხოვრობს ხელვაჩაურის რაიონში და კარგად იცნობს არსებულ პრობლემას. მეორე ექსპერტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტია. ორივე მათგანი შეირჩა თავიანთი აკადემიური გამოცდილების მიხედვით. შერჩევის დროს გამოყენებულ იქნა „თოვლის გუნდის“ მეთოდი.

თითოეული ინტერვიუ დაახლოებით 25-35 წუთი გაგრძელდა. ინტერვიუს დაწყებამდე ყველა რესპონდენტს კვლევის ეთიკის კოდექსიდან გამომდინარე, გავაცანი კვლევის მიზანი, ამოცანები. მას შემდეგ რაც მივიღე ინფორმირებული თანხმობა დისკუსია ჩავწერე აუდიოფაილად. ჩაწერილი აუდიოფაილები გავშიფრე ტრანსკრიპტის სახით. მოპოვებული ინფორმაციები დამუშავდა Nvivo-ს პროგრამაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

1970-იან წლებში მსოფლიოში დაიწყო ნეოლიბერალიზმის ახალი ტალღის განვითარება. „ტერმინი 1938 წლის პარიზის შეხვედრიდან იღებს სათავეს, სადაც დელეგატები ლუდვიგ ფონ მიზესი და ფრიდრიხ ჰაიეკი იყვნენ. სწორედ მათ განსაზღვრეს ასე იდეოლოგია. ფრანკლინ რუზველტისა და დიდი ბრიტანეთის კეთილდღეობის სახელმწიფოს გრადუალური განვითარების სოციალ-დემოკრატიულ მაგალითში მათ კოლექტივიზმის მანიფესტაცია დაინახეს, რაც მსგავსი აზროვნების ველში ნაციზმსა და კომუნიზმს უტოლდება. „ (მონბიო, 2018)

ნეოლიბერალიზმი ხასიათდება მკაცრი ინდივიდუალიზმით, სახელმწიფოს მაქსიმალური დერეგულაციის პოლიტიკით. ბრიტანელი მწერალი და პოლიტიკური აქტივისტი, ჯორჯ მონბიო ნეოლიბერალიზმზე საუბრისას აღნიშნავს, რომ „ არ აქვს მნიშვნელობა სტრუქტურულ უმუშევრობას: თუ არ გაქვს სამუშაო, ეს იმიტომ, რომ უინიციატივო ხარ. არ აქვს მნიშვნელობა რამდენად არაადეკვატურად ძვირია საცხოვრებელი: თუ შენი საკრედიტო ბარათი ფუნქციას კარგავს, ეს შენი უპასუხისმგებლობისა და უყურადღებობის ბრალია. არ აქვს მნიშვნელობა არც იმას, რომ თქვენს შვილებს არ აქვთ სკოლებში სათამაშო მოედნები: თუ ისინი გასუქდნენ, თქვენი ბრალია. კონკურენციით მართულ მსოფლიოში – ის, ვინც უკან რჩება -მიიჩნევა და განისაზღვრება უუნაროდ – საკუთარი თავის მიერაც ˜.“ (მონბიო, 2018)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში დიდი სოციალური და პოლიტიკური აფეთქებები დაიწყო. დეინდუსტრიალიზაციის შეუქცევადმა პროცესმა, მოსახლეობა გააღარიბა. ასობით საწარმო მმართველმა პოლიტიკურმა კლანმა უხეში პრივატიზაციის გზით ჩაიგდო ხელში და მეზობელ სახელმწიფოებში ჯართად გაყიდა. ჰარვარდის

უნივერსიტეტის პროფესორი საერთაშორისო პოლიტეკონომიაში, დენი დორიკი თავის სტატიაში „ნაადრევი დე-ინდუსტრიალიზაციის საფრთხეები“ საუბრობს დეინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის აუცილებლობაზე. „ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობამ, განვითარების დღევანდელ დონეს მიაღწიეს კარგად ნაცნობი ინდუსტრიალიზაციის გზის გავლის საშუალებით. სამრეწველო ინდუსტრია – ტექსტილი, ავტომობილების და ლითონის წარმოება – წარმოიშვა ტრადიციული ხელსაქმისა და გილდიების სისტემის ნანგრევებზე, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო აგრარული საზოგადოებების ურბანულ ფორმებში ტრანსფორმაციას. გლეხები გადაიქცნენ ქარხნის მუშებად. ამ პროცესმა საფუძველი ჩაუყარა, არამხოლოდ ეკონომიკური ნაყოფიერების უპრეცენდენტო ზრდას, არამედ სოციალური და პოლიტიკური მოწყობის ყოვლისმომცველ რევოლუციას. მშრომელთა მოძრაობებმა საზოგადოებები მიიყვანა მასობრივ პოლიტიკამდე, რაც შემდგომში გადაიზარდა პოლიტიკურ დემოკრატიაში.“ (როდრიკი, 2015)

ჩვენთან ეს პროცესი პირიქით წარიმართა. საბჭოთა კავშირის პერიოდში ქვეყანაში რამდენიმე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი უმსხვილესი საწარმო არსებობდა. გეგმიური ეკონომიკიდან ახალ პოლიტიკურ რეალობაში გადასვლამ მნიშვნელოვნად გააღარიბა საზოგადოება. რა თქმა უნდა, დეინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა დამოუკიდებლად არ იწარმოებოდა. 90-იანებში პრივატიზაციას სამხედრო კონფლიქტებიც დაემატა.

ამდენ კრიზისს ქვეყნის ეკონომიკამ ვერ გაუძლო და დაიწყო მასობრივი რღვევის პროცესი. ჯონსი თავის წიგნში, პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აღწერს იმ სავალალო შედეგებს, რაც 90-იანებში წარმოიქმნა. „მონაცემების მიხედვით უმუშევართა რაოდენობა მცირე იყო, რადგან საწარმოები მუშახელს ოფიციალურად არ ათავისუფლებდნენ, მაგრამ შემოსავლები

კატასტროფულად დაეცა, მიუხედავად ინდექსაციის მცდელობისა. თუკი 1989 წელს მინიმალური ხელფასით 750 კვერცხის ყიდვა შეიძლებოდა, 1993 წლისთვის ამ ხელფასით მხოლოდ ერთ კვერცხი მოდიოდა. ერთი თვის პენსია 9კგ პურს უტოლდებოდა. 1994 წლის სექტემბერში საშუალო ხელფასი 12 აშშ დოლარს უდრიდა ანუ 28,800,000 კუპონს; 1994 წლის ბოლოსთვის კი - ოფიციალური საარსებო მინიმუმის 1,2%-ს. ელექტროენერგიისა და სათბობის მიწოდების შეწყვეტის გამო დაიხურა სკოლები და საავადმყოფოები. საბიუჯეტო ხარჯები, განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც ყველაზე მეტად იყო საჭირო, მაგალითად, სოციალური დაცვის, ჯანდაცვის და განათლების სფეროში, საერთოდ აორთქლდა, რადგან მთავრობამ გადასახადების ამოღება ვერ მოახერხა (1994 წელს საგადასახადო შემოსავლებმა მშპ0ის მხოლოდ 2,4% შეადგინა, ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მსოფლიოში). განათლების ხარჯების საბიუჯეტო წილი, რაც 1990 წელს 23%-ს შეადგენდა, 1994 წლისთვის 6%-ით შემცირდა.“ (ჯონსი, საქართველო- პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 2013)

2004 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოში ნეოლიბერალური პოლიტიკის ახალი ტალღა დაიწყო. ჩამოშლილი ეკონომიკის პირობებში სიღარიბის მაჩვენებელი კვლავ იზრდება. ამაზე მეტყველებს საქსტატის მონაცემებიც. უფრო ზუსტად, 2016 წლის მონაცემებით ჯინის კოეფიციენტი 40 ნიშნულზეა. რაც წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით კიდევ უფრო გაზრდილია. საქართველო, სამხრეთ კავკასიაში უთანასწორობის თვალსაზრისით, მოწინავე ადგილზეა.

ბიდონვილი არის მჭიდროდ დასახლებული ურბსნულო პუნქტი რომელიც შედგება უმეტესწილად ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლებისგან და იქ ძირითადად ღარიბები ცხოვრობენ. მიიხედავად იმისა რომ ბიდონვილები განსხვავდება ფართობში და სხვადასხვა ნახასიათებლებში, უმეტესობას არ აქვს კანალიზაცია, სუფთა წყალი,

მდგრადი ელექტრომომარაგება, წესრიგი და სხვა სერვისები. ბიდონვილებშო გხვდება როგორც ქოხმახები ასევე პროფესიულად ნაშენები სახლები, რომლებიც ცუდი მშენებლობისა თუ მოუვლელობის გამო ავარიულ მდგომარეობაში არიან (wikipedia, slum)

ინდივიდუალური მობილობა, რომელიც ინდივიდის მდგომარეობის შეცვლას ნიშნავს სტრატიფიაციულ სისტემაში არ ფუნქციონირებს. პიროვნების განვითარებას და ვერტიკალურ მობილობას მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უქმნის არსებული ეკონომიკური სტრუქტურა, რომელიც ცდილობს გარიყოს ინდივიდი კულტურული, პოლიტიკური და სოციალური პროცესებისგან.

ამერიკელი მწერალი, პოლიტიკური აქტივისტი, ურბანული თეორეტიკოსი მაიკ დევისი თავის წიგნში ბიდონვილების პლანეტა სწორედ ამაზე საუბრობს. დევისის თვალსაზრისით, ნეოლიბერალური პოლიტიკა არის ერთ-ერთი ცენტრალური მიზეზი ბიდონვილების ზრდის მსოფლიოს მასშტაბით.

დევისი ავითარებს თეორიას სლამების წარმოქმნის შესახებ და სტატისტიკური მონაცემების მოშველიებით ასაბუთებს პირდაპირ კორელაციას სახელმწიფოს სოციალური დანახარჯების ზრდასა და ბიდონვილების ზრდის შემცირებას შორის.

ქაოტური განაშენიანების პირობებში, ამბობს დევისი, ქალაქის პერიფერიებში თავს იყრის რურალური სივრცეებიდან ჩამოსული მოსახლეობა, რომლებიც მცირემიწიანობის პირობებში ხელი არ მიუწვდებათ დიდ ორგანიზაციებთან კონკურენციაში შესვლაზე. შესაბამისად, დასაქმების იმედით ჩამოსული ოჯახები ქალაქების გარშემო ითვისებენ ტერიტორიებს, სტაბილური მომავლის შექმნის იმედით. (Davis, 2005)

დევისის თეორია ზუსტად ერგება ქართულ რეალობას. შემთხვევითი არაა, რომ ბიდონვილების ზრდის დინამიკის კვლევა ბათუმის გარშემო გვიწევს, რამდენადაც ბათუმი სამშენებლო ბუმის ახალი ცენტრია მას შემდეგ, რაც თბილისმა საკუთარი თავი ამოწურა.

ასევე, კვლევის პროცესის დაწყებამდე, აუცილებელი იყო მიმოგვეხილა გაეროს საერთაშორისო ანგარიში ადამიანის სამოსახლოებზე, რომელიც პირველი მცდელობაა დეტალურად გააანალიზოს მსოფლიოს გარშემო არსებული მდგომარეობა ქოხმახების ზრდის თვალსაზრისით.

კვლევამ აჩვენა, რომ მსოფლიოს გარშემო 1 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს ბიდონვილებში, და მათი უმრავლესობას განვითარებულ სახელმწიფოებში ვხვდებით. არსებული დასახლებები ძირითადათ განლაგებულია განვითარებადი ქალაქების ირგვლივ. კვლევა ამბობს, რომ თუ სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება არ მოხდება, 2020 წლისთვის, ბიდონვილების რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვნად გაიზრდება და მასში დედამიწის მეხუთედი იცხოვრებს. (United Nations Human Settlements Programme, 2003)

ანგარიშში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ თუ სახელმწიფო პოლიტიკა არ შეიცვლება ცალკეულ ქვეყნებში, სადაც მაღალია არაფორმალური დასახლებების ზრდის მაჩვენებელი, შეიძლება მივიღოთ ლოკალურ დონეზე დიდი სოციალური აფეთქებები. (United Nations Human Settlements Programme, 2003, p. 120)

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგები

„1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის არსებობის შეწყვეტის თაობაზე, რასაც საფუძვლად დაედო ორიოდე კვირით ადრე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნის გადაწყვეტილება, რომელსაც ბრესტის მახლობლად, ბელოვეჟის ტევრში, მოაწერეს ხელი რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა და ბელორუსიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ სტანისლავ შუშკევიჩმა." (რეხვიაშვილი, 2016) საბჭოთა იმპერიის დაშლა უდიდესი დარტყმა იყო მასში შემავალი 15 რესპუბლიკის მოსახლეობისთვის. გეგმიური ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური ურთიერთობების განსაზღვრა რესპუბლიკის ცენტრიდან, მოსკოვიდან ხდებოდა. იმპერიის დაშლის შემდეგ ეკონომიკა ერთიანად ჩამოიშალა. მეორე დღეს საბჭოთა ადამიანმა სრულიად ახალ რეალობაში გაიღვიძა.

„საბჭოთა კავშირი რო დეიშალა ვერავინ წარმევიდგენდით ასეთი ამბები თუ დატრიალდებოდა ქვეყანაში. დევიძინეთ და რო გევიღვიძეთ სხვა ქვეყანაში აღმოვჩნდით. მე მაგალითად კოლმეურნეობაში ვიყავი, ჩაის ვკრიფავდი. ბევრს კი ვშრომობდი, მარა ოჯახშიც მომქონდა და არ მიჭირდა, არ ვფიქრობდი იმაზე რომე რა უნდა მეჭმია შვილებისთვის, ცოლისთვის. დაიშალა საიუზი და გაჩერდა ყველაფერი." (კაცი, 53-ე ოპიზრების დასახლება,)

ბრიტანელი მეცნიერი სტივენ ჯონსი, საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევარია, რომელიც არაერთი პუბლიკაციისა თუ წიგნის ავტორია. ბ-ნი ჯონსი თავის წიგნში „ პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ" გვთავაზობს ეკონომიკის სტრუქტურულ ანალიზსს, თუ რა მდგომარეობაში იყო საბჭოთა კავშირის დაშლამდე და დაშლის შემდეგ. პროფესორი ამბობს, რომ „იმპერიის პირობებში, 1970-დან 1989 წლამდე, საქართველოში მეცნიერთა რაოდენობა 50%-ით გაიზარდა.

ქვეყანაში 1990 წლის მონაცემებით, 1000 სულ მოსახლეზე 4,92 ფიზიკოსი ჰყავდა, საინტერესო სტატისტიკური მონაცემები იმდროინდელ ევროპაში, სადაც ფიზიკოსთა რაოდენობა 3,1 შეადგენდა. სიცოცხლის ხანგრძლივობით, ქვეყანას იმპერიაში პირველი ადგილი ეკავა და მშპ-ის მიხედვით 72,1% მხოლოდ რუსეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს ჩამორჩებოდა. ჯონსი ამბობს, რომ ამ მაჩვენებელში არ შედიოდა ჩრდილოვანი ეკონომიკის პირობებში დაგროვილი მოგება. ავტომობილების რაოდენობის თვალსაზრისითაც, საქართველო მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებს ჩამორჩებოდა და მეოთხე ადგილზე იყო.“ (ჯონსი, 2013)

„მე იმას კი არ ვამბობ რო კაი იყო საბჭოთა კავშირითქო, ცუდი იყო, ცუდი კიარა საშინელება. დამოუკიდებლები არ ვიყავით, ვერაფერს ვერ ვწყვეტდით ჩვენთვითონ. მარა ფული გვქონდა, არ გვიჭირდა, სამუშაო იყო. მაგი კიარა თუ არ იმუშავებდი დაგიჭირავდნენ. ახლა ვიხვეწებით სამუშაო მინდათქო და კაცი არაა პატრონი. უშველებელი ქარხნები იყო ყველგან, ჩაის პლანტაციები, მილიონი რამე იწარმოებოდა“ (53-ე ოპიზრების დასახლება, კაცი)

პროფესორი ჯონსი წერს, რომ საბჭოთა კავშირში რამდენიმე დიდი და პრესტიჟული საწარმო საქართველოში იყო განლაგებული. მაგალითად მოჰყავს სოხუმის ავიაგამანადგურებლების მწარმოებელი საავიაციო, ელმავალმშენებელი, სადაც საბჭოთა კავშირის ნავთობმომპოვებელი დანადგარების კვანძს წარმოადგენდა. ქვეყანას 1500კმ-ის სიგრძის ელექტროფიცირებული რკინიგზა კვეთდა, რომელიც ცენტრალურ აზიას აღმოსავლეთ კავკასიასთან აკავშირებდა და აზერბაიჯანის სარკინიგზო ტვირთის მესამედიც საქართველოზე გადიოდა. (ჯონსი, 255 გვ)

ასევე, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, „ რომელიც 1948 წელს დაარსდა და ამიერკავკასიაში სრული მეტალურგიული ციკლის პირველი საწარმო იყო. ამ

სტრატეგიულ ობიექტზე იწარმოებოდა არმატურა, უნაკერო მილები, კვადრატული ნამზადი და ა.შ.“ (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, 2018)

ცენტრიდან მართული ეკონომიკის ნგრევის შემდეგ, ქვეყანაში მწვავე სოციალური და ეკონომიკური კრიზისები შეიქმნა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, როგორც სტივენ ჯონსი ამბობს, „ ეკონომიკური ვარდნა საქართველოში ყველაზე მწვავე იყო თანამეგობრობის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის. 1990-1992 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტი 64%-ით დაეცა; 1991 წელს აგრარული წარმოება 50%-ით შემცირდა, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობის მოცულობა- 59%-ით. კატასტროფულად დაეცა აგრეთვე მოსახლეობის კეთილდღეობის დონე. ქართველებისა და მათი გულშემატკივრებისთვის ეს სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. მათი რწმენა ქართველთა საქმიანი ინსტიქტების მიმართ ხომ უსაზღვრო იყო. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ყოფილი „დელეცები“ თუ „მეწარმე კომბინატორები“, საბჭოთა კავშირის შავი ეკონომიკის პერიოდში თაღლითობასა და უკანონო საქმიანობაში დახელოვნებული მცოდნეები სულაც არ წარმოადგენდნენ იმ „სამეწარმეო ნიჭს“, რაც ლიბერალურ ბაზარს სჭირდებოდა. 2002-2003 წლებში ჩრდილოვანი ეკონომიკა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 64%-ს შეადგენდა. „ (ჯონსი, საქართველო- პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 2013)

„როცა დაიშალა საბჭოთა კავშირი ყველას ერთიანად გაუჭირდა. ჯერ რამდენი ომი გადავიტანეთ, ერთი მეორეს მიყოლებით, მერე მაღაზიები დაცარიელდა. შედიოდი არაფერი იყო დახლებზე, წარმოებები გაჩერდა, გაიყინა ერთ წერტილში. საშინელება ხდებოდა. გახსენებაც არ მინდა 90-იანი წლების. სისხლის სუნი აქ იმ დროს, გაჭირვების და წვალების სუნი. (ქალი, 25-ე ოპიზრების დასახლება) “

პრივატიზაცია

იმპერიის დაშლის შედეგების განხილვისას, აუცილებელია პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობის დეტალური ანალიზი, რომელიც არის დღევანდელი უთანასწორო მდგომარეობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი.

ლადო პაპავას მოსაზრებით, „2004 წლიდან დაწყებული მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია მიმდინარეობდა კანონმდებლობის სრული დარღვევით, რაც სულაც არ არის გასაკვირი, თუ კი გავიხსენებთ, რომ სწორედ ამ გზით შემოვიდა საქართველოში რუსული, ყაზახური თუ არაბული კაპიტალი. ხშირ შემთხვევაში პრივატიზაციისას გაცხადებულ თანხაზე რამდენიმეჯერ ნაკლები ფიქსირდებოდა სახელმწიფოსა და ახალ კერძო მესაკუთრეს შორის გაფორმებულ კონტრაქტებში. ასე მაგალითად, ჩეხურმა კომპანიამ „ენერგო-პრომ“ ენერგეტიკულ ობიექტთა პრივატიზაციისას განაცხადა, რომ საკუთრების უფლებაში 325 მლნ. აშშ დოლარს გადაიხდიდა, თუმცა მოგვიანებით ხელშეკრულებაში მხოლოდ 72 მლნ. აშშ დოლარი დაფიქსირდა“ (პაპავა, 2015, გვ. 138)

კანონმდებლობის სრული დარღვევით გასხვისდა ასევე რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. რომლის „აშენების გადაწყვეტილება 1940 წელს საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო. თავდაპირველად, სამშენებლო მოედანი თბილისის ერთ ერთ გარეუბანში უნდა ყოფილიყო, მშენებლობა დაიწყო 1941 წელს, მაგრამ ომის დაწყებასთან დაკავშირებით გადაწყდა ქარხანა რუსთავში გადაეტანათ. 1944 წელს მშენებლობა განახლდა, ხოლო 1947 წელს ქარხანა ნაწილობრივ ამოქმედდა. პირველი ფოლადი 1950 წელს დამზადდა. ქარხანა აწარმოებდა უნაკერო მილებს ყაზახეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და ახლო აღმოსავლეთის ნავთობის საბადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.“ (intermedia.ge, 2017)

„ამ მასშტაბის ქარხანა, რომელიც რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელი იყო (იქ 15,000 ადამიანი მუშაობდა), იტალიელმა ინვესტორებმა შეიძინეს 1990-იან წლებში და ჯართად დაშალეს. ისინი საქართველოდან ხანგრძლივი სასამართლო პროცესის შემდეგ გააძევეს.“ (ჯონსი, საქართველო- პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 2013, გვ. 256)

„რაც გასაყიდი იყო ყველაფერი გაყიდეს. ტრაქტორები, უზრმაზარი ჩარხები, დანადგარები, რითიც ჩვენ ვამზადებდით და მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაგვქონდა პროდუქტი, ყველაფერი დაშალეს და წარმოიდგინე, ჯართის ფასად ჩააბარეს თურქეთში, რუსეთში, სადაც შეეძლოთ ყველგან ყველაფერი გაქონდათ. არანაირი ფიქრი მომავალზე, ეს ამხელა ქონება ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს დავუტოვოთ, ავამუშავოთ ქარხნები ისევ. ბოლოს ქარხნებს მიადგნენ, დაანგრიეს და შიგნით მოყოლილი ალმატურები თურქეთში გაიტანეს. აი ეს გავაკეთეთ 90-იანებში. (25-ე ოპიზრების დასახლება, კაცი)

ასევე, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა თბილისის საავიაციო ქარხნის მომავალი. „ქარხნის ისტორია 1949 წლიდან იწყება. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ის ქონების მართვის სააგენტოს და საქართველოს რკინიგზას ეკუთვნოდა. მოგვიანებით, 2002 წელს აქციათა 75 პროცენტი საწარმოს დირექტორმა ზურაბ ცინცაძემ 155000 აშშ დოლარად შეიძინა. 24% სახელმწიფოს საწარმოთა მართვის სააგენტოს საკუთრებაში დარჩა, დანარჩენი 0.2% აქციების თანამშრომლებს ეკუთვნოდათ. მისი საწესდებო კაპიტალი კი 50 მილიონ ლარს აჭარბებდა.“ (ძველიშვილი, ნატა, & კუპრეიშვილი, 2015)

და ამ პრივატიზაციის შეუქცევადი პროცესის პირობებში, „ ქვეყანაში 1994 წელს საშუალო ხელფასი თვეში 1,5 აშშ დოლარის, ხოლო პენსია 10 აშშ ცენტის ეკვივალენტი იყო.“ (პაპავა, 2015, გვ. 52)

პრივატიაციის პირველი ტალღა შევარდნაძის მთავრობის დროს განხორციელდა. როდესაც პოლიტიკური ელიტა იღებდა გადაწყვეტილებას, როგორ გადანაწილებულიყო შიდა კლანში სამართავი ეკონომიკური ზონები. „ახალი პრივატიზაციის ტალღა 2004 წლიდან იწყება. საპრივატიზაციოდ გამოტანილი იქნა სტრატეგიული რესურსები, მათ შორის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლება. ამ პროცესში კერძო პირთა ინტერესები უშუალოდ დაუპირისპირდა საჯარო ინტერესებს, თუმცა, რევოლუციურ ხელისუფლებას ბევრი არ უფიქრია დაპირისპირებულ მხარეთა შორის ვის მიენიჭებოდა უპირატესობა. რესურსების გადაცემა უკანონო გარიგებებით, ოფშორებში რეგისტრირებულ საწარმოებს ამოფარებულ სამთავრობო ჯგუფებსა და კონკრეტულ ავტორიტეტებზე საზოგადოების ჩართულობისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინების გარეშე წარიმართა.“ (ცინცაბაძე & ანანო, 2016)

გამოსახლეობის სტატისტიკა

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკით ირკვევა, რომ 2010-2015 წლებში, უწყებამ ერთეული უძრავი ქონებიდან გამოასახლა/გამოიყვანა 3,295 პირი.

2010 წლის მონაცემებით, გამოსახლების რაოდენობა 450-ს შეადგენდა. მცირედით შემცირდა ეს რიცხვი 2011 წლის მონაცემებით, ეს ციფრი 414-მდე ჩამოვიდა. თუმცა, 2012 წლის პერიოდში, გამოსახლებულთა რაოდენობამ 782 ოჯახი შეადგინა.“ (გელანტია, 2018)

„იძულებითი გამოსახლება გულისხმობს პროცესს, როდესაც პირს ან პირთა ჯგუფს საცხოვრებელ სივრცეს მათი ნების საწინააღმდეგოდ ატოვებინებენ. საერთაშორისო სამართლებრივ სისტემებში არ არსებობს იძულებითი გამოსახლების უნიფიცირებული განმარტება. შესაბამისად, მისი შინაარსი განსხვავებულია საერთაშორისო ინსტრუმენტების/განმარტებების, ასევე ეროვნული კანონმდებლობების მიხედვით. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი წყაროსა და განსაზღვრების გამოყოფა, რაც იძლევა იძულებითი გამოსახლების ცნების მთავარ მახასიათებლებს.“ (ქაშაკაშვილი, გვიშიანი, & ჯანიაშვილი, 2018)

2012 წლის პერიოდში გამოსახლებულ ოჯახებს ვხვდებით „ოცნების ქალაქში“. რესპონდენტის მონაყოლით ირკვევა, რომ მისი 6- სულიანი ოჯახი საპოლიციო აღსრულებით გამოასახლეს ბათუმში, 2-ოთახიანი ბინიდან, რომელიც იპოთეკაში ჰქონდათ ჩადებული და წლების განმავლობაში იხდიდნენ გადასახადს მაღალი პროცენტით. მას შემდეგ, რაც თურქეთში სეზონურ სამუშაოზე მეუღლე დაშავდა, ოჯახი შემოსავლის გარეშე დარჩა. პროცენტები გაიზარდა, საქმე სასამართლოში გადაიგზავნა და მალე, მიუხედავად წინააღმდეგობისა, პოლიციის ძალით ოჯახი ბინის გარეშე დარჩა. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი თავდაპირველად ქირით გადავიდა საცხოვრებლად ბათუმის გარეუბანში, როგორც კი ცნობილი გახდა „მუყაოს ქალაქის“ შესახებ მოვიდნენ, მიწა შემოსაზღვრეს და საკუთარი ხელით ააშენეს მუყაოს სახლი.

„2015 წლის 29 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საპოლიციო გამოსახლების წესის ცვლილებასთან დაკავშირებულ 2 კანონს, რითიც საპოლიციო წესით გამოსახლების წესი გაუქმდა. „ (საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა მოწმეთა დაკითხვისა წესისა და საპოლიციო გამოსახლების წესის ცვლილებას, 2015)

შედეგად მივიღეთ ის, რომ გამოსახლების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ მიმდინარე დავები სასამართლოში გაზრდილია. აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე

ვკითხულობთ, რომ „2015 წლის ბოლოს შვედი კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ ნდობა აქვს მომხარებელთა 74%; გამოკითხული არამომხმარებელი საზოგადოების 67% ფიქრობს რომ აღსრულების ეროვნული ბიურო კარგად ასრულებს ფუნქციებს; კრედიტორების და მოვალეების 69% ფიქრობს რომ ბიურო მუდმივად განიცდის გაუმჯობესებას და განვითარებას.“ (აღსრულების ეროვნული ბიუროს 4-წლიანი ანგარიში, 2016)

7 სული ვცხოვრობდით 1 ოთახში. ენით ვერ აგიღწერ როგორ გვიჭირდა იქ ყოფნა, თან სარდაფი იყო, ქვედა სართული, პადვალს რომ ეძახიან. არ ნიავდებოდა, ათასი დაავადებები იყო. ასეა თუ ისე მე გამყიდვლად ვმუშაობდი მაღაზიაში, დღეში 10 ლარი მქონდა, ჩემი ქმარი სამრეცხაოზე. ზაფხულში არაა რთული მუშაობა, მაგრამ ზამთარში გაცივდა. თავიდან ფიქრობდენ რო ფილტვების ანთება ქონდა, მერე გაირკვა რო ტუბერკულიოზის ცუდი ფორმა იყო. სანამ გავარკვევდით გამოვკლევებში დაგვეხარჯა ფული. ოჯახის წევრი რო გაგიხდება ცუდათ, მერე არაფერზე ფიქრობ გარდა იმისა, როგორ მოარჩინო. ავდექით და მევახშისგან ვისესხეთ ფული. ვერ გადავიხადეთ მერე და დავრჩით უსახლკაროდ, სხვა რა უნდა გვექნა, ავდექით და წამოვედით აქ რო გავიგეთ დასახლება გაჩნდა და ღმერთის წყალობით ქირაში აღარ გვიწევს ფულის გადახდა. (ქალი, 25-ე ოპიზრების დასახლება)

თუმცა, ამ კვლევების სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. როგორც ირკვევა, კანონით საპოლიციო ძალით გამოსახლება აიკრძალა, მაგრამ პროცესზე ზედამხედველობა გადაიბარა აღსრულების ეროვნული ბიუროს პოლიციამ, შესაბამისად აღსრულების მაჩვენებლები თუ სტატისტიკაში შემცირდა, მხოლოდ იმის გამო, რომ სასამართლოებში გადაგზავნილი ასობით საქმის განხილვები დროში გაიწელა. დავები ძველებურად მიმდინარეობს სასამართლოში და ასევე ასობით ოჯახი ელოდება საბოლოო გადაწყვეტილებას. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები დასახლებაში შემოდინებას გააგრძელებენ.

„ამას მოწმობს აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკაც. მაგალითად, 2013 წელს თუ აღსრულებული საქმეების რაოდენობა 38950 შეადგენდა, 2015 წელს, მას შემდეგ რაც კანონი იქნა მიღებული საქმეების რაოდენობა 53825-მდე გაიზარდა. 2016 წელს ეს მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა 57261 საქმემდე.“ (აღსრულების ეროვნული ბიუროს 4-წლიანი ანგარიში, 2016)

საბანკო ვალდებულებები

ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე ატვირთული სესხების სტატისტიკით, შეგვიძლია გავიგოთ კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების შესახებ მონაცემები, მათ შორის სხვადასხვა კლასიფიკაციის მიხედვით. კერძოდ:

- ვადიანობის მიხედვით
- რეზიდენტობის მიხედვით
- დარგების მიხედვით
- ეროვნული ეკონომიკის სექტორების მიხედვით
- დებიტორების კატეგორიების მიხედვით

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, რომელიც იძლევა ინფორმაციას კომერციული ბანკების მიერ გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ნაშთების მოცულობის შესახებ სულ და ვალუტებისა (ეროვნული და უცხოური ვალუტების) და სესხების ვადიანობის მიხედვით, მოცემული თარიღისათვის.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი არის სესხი, რომელიც გაიცემა უძრავი ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობები) გირაოდ დატოვების საფუძველზე. (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019)

„მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ეროვნული ვალუტით გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების რაოდენობა (ვადიანი სესხები) 2012 წლის მაისის მონაცემებით შეადგენდა 666,807. იმავე ცხრილით ირკვევა, რომ 2019 წლის მაისის თვეში

ციფრი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ეროვნული ვალუტით გაცემული სესხის რაოდენობა 4,822,854 შეადგინა. არსებული სტატისტიკით დგინდება, რომ 7 - წლიან მონაკვეთში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების რაოდენობა 7,2-ჯერ გაიზარდა, რაც საგანგაშო სტატისტიკური მაჩვენებელია.“ (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019)

„ოცნების ქალაქში“ მცხოვრებ თითქმის ყველა ოჯახს აქვს საბანკო ვალდებულებები. ინტერვიუს პროცესში მოსახლეობა ბანკებთან საკუთარი გამოცდილებების შესახებ ყვებიან.

„ადამიანს ჯანმრთელობას და კიდე იმას ვუსურვებ, ღმერთმა ნუ დააჭერინოს ბანკებთან საქმე. ამ ლამაზი გოგო-ბიჭების და ტელევიზორის უკან საშინელი ყაჩაღები დგანან. პირად მაგალითზე გამოვცადე და ვინ რა უნდა მასწავლოს, ვინ რა უნდა დამაჯეროს. შვილი გამიხდა ცუდათ. ამის მერე ავიღე სესხი ბანკში, პროცენტები მე რა ვიცი, დაბალი იქნებაო. მერე გავიგე რო თურმე ის რაც მითხრეს ტყუილი იყო და ერთი ათასად მომიწია გადახდა. ერთში შემქონდა, მეორეში გამომქონდა და ასეთ წვალებაში ვიყავი. ჭკუაში მომატყუეს, იმიტო რო მე არ მქონია საშუალება მესწავლა და განათლება მიმეღო უმაღლესში. საბოლოოდ დავრჩი ხელცარიელი და შევაფვარე თავი აქაურობას.“ (53-ე ოპიზრების დასახლება, კაცი)

ასევე, საინტერესოა კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები რეგიონების მიხედვით.

„სტატისტიკით ირკვევა, რომ მაგალითად 2016 წლის იანვრის თვის მონაცემებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაცემული სესხის რაოდენობა შეადგენდა 324, 342 ლარს. როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს. მაგალითად, 2019 წლის

მაისში გაცემული სესხების რაოდენობამ შეადგინა 876 229 ლარი.“ (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019)

სესხებს იცოცხლე ისე გასცემენ. მანქანა ჩამოდგება ხოლმე, თქვენ იცით რო ბევრი პენსიონერია აქ. წინასწარ შეგიძლია პენსიის აღებაო, იღებ, როგორია წამლების ფული რო არ გაქ, არაფერში არ გყოფნის, აიღებ და მერე რჩები ულუკმაპუროდ. საკომისიოს გაჭრიან. საკომისიო იმხელაა თავიდან არ გეუბნებიან ციფრებში. გიდებენ დოკუმენტს, აწერ ხელს და მერე გაარკვევ თვის ბოლოს რო თურმე რამდენ პროცენტში აგიღია. მაგათაც ვინც სესხს გასცემს სარგებელი აქვთ, პროცენტები ერიცხებათ და ერთ სულზე არიან მოგატყვილონ (25-ე ოპიზრების დასახლება, ქალი)

ასევე, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი წლიური ინფლაციის მაჩვენებელი. მაგალითად, თუ წლიური ინფლაცია(სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან გვეუბნება, რომ 2019 წლის ივნისის თვეში ინფლაცია 4,3 %-ით გაიზარდა. მაისის თვეში ეს რაოდენობა 4,7%-ს შეადგენდა. შედარებისთვის, 2012 წლის ოქტომბერში, ინფლაციის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 0,1% იყო.

„ფულმა დაკარგა თავისი ღირებულება. ადრე 10 ლარით მაღაზიაში მინიმალური რაღაცის ყიდვა შეიძლებოდა. ახლა რო გამოვდივარ მაღაზიიდან გზაში სახლამდე სანამ მოვალ ვფიქრობ ჩემთვის ხო არ მომპარა ვინმემ ფული ან ხომ არ დავკარგე. არაფერი არ გრჩება. ფასები მირბის, შემოსავლები იგივეა, ყველას შია ვინც აქაა. საღამოს რო ვაკეთებ საჭმელს, პატარა ბავშვები მოდიან სუნს რო იგრძნობენ საჭმლის, რა გულმა უნდა მოგითმინოს და არ შემოიპატიჟო. ასეთ დღეში ვართ. (25-ე ოპიზრების დასახლება, ქალი)

„საგანგაშოა მსოფლიო ბანკის მონაცემები კომერციული ბანკებისგან მოსახლეობის მიერ აღებული სესხის შესახებ. მონაცემებით დგინდება, რომ ყოველ 1000 ადამიანზე, საქართველოში, 2017 წლის მონაცემებით ვალი აქვს 565 ადამიანს, რაც 50%-ზე მეტია. ამ მაჩვენებლით, საქართველო მსოფლიო ქვეყნების ათეულში მე-6 ადგილს იკავებს.“ ((მსოფლიო ბანკი, 2019) (იხ.სურათიN 1)

(სურათი N1)

საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოში არსებული კომერციული ბანკების შესახებ მიმდინარე ანგარიშს პერიოდულად აქვეყნებს. (საქართველოს ეროვნული ბანკი, თ. გ.)

სტატისტიკის მიხედვით ირკვევა, რომ მაგალითად 2017 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, ბანკების წმინდა მოგებამ შეადგინა 448 მილიონი ლარი. ეს იმას ნიშნავს,

რომ წინა წელთან შედარებით მოგება გაორმაგდა. საქართველოში მოქმედი 16 ბანკიდან, მოგებით დაასრულა კვარტალი 15 ბანკმა. მათ შორის ორ უმსხვილეს ბანკს, საქართველოს ბანკს აქვს 208,4 მილიონი ლარის წმინდა მოგება, ხოლო თიბისი ბანკს 149,5 მილიონი. 20,2 მილიონი ლარის წმინდა მოგებით დაასრულა კვარტალი ლიბერთი ბანკმა, რომელსაც მოსდევს ვითიბი ბანკი ჯორჯია 15,8 მილიონით. 2016 წლის მონაცემებით, ბანკების წმინდა მოგებამ 679 მილიონი ლარი შეადგინა.

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ჩემს მიერ გამოკითხულ ყველა რესპონდენტს ჰქონდა საბანკო ვალდებულება, რომლის ვერ გადახდის შემდეგ მათმა ნაწილმა დაკარგა სახლი. ყველა მათგანი იმყოფება მოვალეთა რეესტრში.

ასევე, კვლევის პროცესში გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. რესპონდენტთა ნაწილი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც ბანკებისგან აღებული ვალდებულებების გადახდა ვერ მოახერხეს ბანკებმა ისინი ე.წ „შავ სიაში“ მოათავსა. სიაში ქვეყნის მასშტაბით დგება და ბანკების კორპორაციულ საიდუმლოებას არ წარმოადგენს. პირიქით, ყველა ბანკს აქვს ერთმანეთთან შეთანხმება, რომ მევალეების შესახებ ცნობებს ერთმანეთს გაუცვლიან. შესაბამისად, „გაშავებული“ მომხმარებელი იძულებულია სესხი არაფორმალურ სივრცეში აიღოს მევახშესთან.

დასახლებაში ასეთი რამდენიმე ადამიანია, რომელიც მინიმალური გარანტიების სანაცვლოდ გასცემს სესხს მაღალ პროცენტში. სესხის გაცემა იწყება სეზონური სამუშაოს დაწყებამდე 1 თვით ადრე.

„ აქ არის 2-3 ადამიანი, მევახშე ესე რო ვთქვათ. რომელიც ბანკთან შედარებით ძალიან დიდ პროცენტში გასესხებს ფულს. სხვა გზა რო არ გაქ კაცს, მიკროსაფინანსოებში ზემოდან არ გიყურებენ, ბანკებზე ზედმეტია ლაპარაკი რა უნდა ქნა რო გჭრდება ფული? შვილი რო ცუდათ გყავს ან წყალი ჩამოგდის ზამთარში და უნდა გადახუდო? ხო და დგები

და მიდიხარ ამ მევახშესთან და სესხულობ ფულს. ზაფხულში, როცა თურქეთიდან ჩამოხვალ მთელი ხელფასი იმას რჩება იმხელა პროცენტია“. (53-ე ოპიზრების დასახლება, კაცი)

რეგისტრაციის არ ქონის გამო, ბუნებრივია ბანკები არ გასცემენ სესხს დასახლებაში. უძრავი ქონებით სესხის უზრუნველყოფა შეუძლებელია. შესაბამისად, დასახლების შიგნით გამოიკვეთა შავი ბაზარი, სადაც ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების მიღმა, მოქმედებს სიტყვიერი შეთანხმების პრინციპი. სეზონური სამუშაოების დასრულების შემდეგ, თურქეთიდან ჩამოსული ოჯახი იღებს პასუხისმგებლობას მაღალ პროცენტში აღებული სესხი დაუფაროს მევახშეს. ასევე, ყოფილა შემთხვევები, დასახლებაში არსებული საცხოვრებელი მიუსაკუთრებია გამსესხებელს კანონის სრული დარღვევით.

„ჩვენთან ისეთი სიტუაციაა, ეს მევახშე არ გაწერინებს ხელწერილს. მიდიხარ და გამოართმევ ფულს. მერე წახვალ იმუშავებ მთელი 3 თვე თურქეთში და რო ჩამოხვალ დაუბრუნებ.

კითხვაზე, თუ რა გარანტიებით გასცემს გამსესხებელი თანხას ერთ-ერთმა რესპონდენტმა გვიპასუხა:

„იმ მევახშემ კარგად იცის რო შენ წასასვლელი არსად არ გაქ. არ მისცემ და თავს არ გამოგაყოფიებს გარეთ, შემოგივარდება, დადარაჯებულია, თან ყველამ იცის რო ფული გაქ ჩამოტანილი. ყოფილა შემთხვევა სახლი წაართვა ოჯახს... სახლი ხმამაღალი ნათქვამია. ქოხი რა.“ (53-ე ოპიზრების დასახლება, კაცი)

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ფაქტი, რომ მოსახლეობას ბანკის წარმომადგენლების გარდა, ადგილობრივ მევახშეებთანაც უწევთ გამკლავება. სეზონურ სამუშაოზე გამომუშავებული შემოსავლის დიდი ნაწილი მათ კეთილდღეობას ხმარდება.

დასაქმება

„ოცნების ქალაქში“ მცხოვრები ადამიანების ძირითადი შემოსავლის წყარო სოციალური დახმარება, პენსია და სეზონური სამუშაოებია მეზობელ თურქეთში.

სეზონური სამუშაოები მაისიდან იწყება და სექტემბრის ბოლომდე გრძელდება. გამოკითხული რესპონდენტებიდან ყველა მათგანი დადის პერმანენტულად მეზობელ ქვეყანაში თხილისა და ჩაის საკრეფად. ანაზღაურება საშუალოდ 400-500$-მდე მერყეობს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანაზღაურებაში კვების ხარჯები არ შედის. სეზონურ კრეფვებზე წასულ ადამიანებს კვების ხარჯების გაღება საკუთარი ჯიბიდან უწევთ.

სამუშაოს მოძიება ხდება შუამავლის მეშვეობით.

„ პირველად რო ჩადიხარ არ იცი ენა, არ იცი ქალაქი, ამიტო რთულია რამე იპოვო. არიან აქ ხალხი ვინც გაგიკეთებს საქმეს, ჩაგიყვანს, დაგაბინავებს და რო იმუშავებ ერთი თვის აღებული ხელფასი იმას უნდა მიცე. იმის სანაცვლოდ რომ ჩაგიყვანა და მოგაწყო სამუშაოზე“ (53-ე ოპიზრების დასახლება, კაცი)

სეზონურ სამუშაოებზე დასაქმება ძალიან ბევრ რისკებს შეიცავს. იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმებული დამსაქმებელთან არ დებს ხელშეკრულებას, ხშირია შემთხვევები, როდესაც ირღვევა შრომითი ურთიერთობები.

2 წლის წინ მეზობლები წავედით თურქეთში თხილის საკრეფად. სამსუნში ჩავედით და დავიწყეთ მუშაობა. ჯერ ყოველ დღე მონებივით გვამუშავებდნენ. არ იყო არანაირი პირობები. კრანიდან წყალი წვეთობით მოდიოდა და დილით პირს თუ დავიბანდით. 40 გრადუს სიცხეში გვიწევდა პლანტაციებში მუშაობა. თავზე თურქები გვადგნენ. თუ რამე არ მოეწონებოდათ ყვირილი ჩვეულებრივი ამბავი იყო. ჩვენ ბიჭებთან მოუვიდათ ერთხელ ჩხუბი, ის ბიჭები ადგნენ და წამოვიდნენ. ჩვენ რა უნდა გვექნა, ვიყავით

გაჩუმებულები, ხმა რო ამომეღო აქეთ 3 შვილს ჭამა არ უნდა? მრჩებოდნენ მშივრები. მეც თავდახრილი ვიყავი და ვმუშაობდი რაც შემეძლო.“

2018 წელს თურქეთსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმების მიხედვით, სეზონურ სამუშაოზე წასულ საქართველოს მოქალაქეს არ აქვს ვალდებულება სამუშაო ადგილზე წარადგინოს „მუშაობის ნებართვის დოკუმენტაცია“. ეს შეთანხმება ამცირებს სამუშაო ადგილზე სამომავლო დაპირისპირებების რისკებს, შრომით ურთიერთობები არალეგალურიდან ლეგალურ სივრცეში შემოჰყავს.

იმისათვის, რომ შეთანხმებამ ეფექტურად იმუშავოს შეიქმნა ონლაინ პლატფორმა, სადაც დასაქმებულს შეუძლია დისტანციურად გაიაროს რეგისტრაცია. ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, რომ „სამსუნის, ორდუს, გირესუნის, ტრაბზონის, რიზესა და ართვინის ოლქებში, სეზონურ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე მომუშავენი ვალდებულნი არიან უცხოელების მუშაობის ნებართვაზე გათავისუფლების დოკუმენტი აიღონ. უცხოელების მუშაობის ნებართვაზე გათავისუფლების განცხადება ორ ეტაპად ხორციელდება პირველ ეტაპზე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კუთვნილი უცხოელი სეზონური მუშების (YUMI-Net) ვებ გვერდზე საჭირო ინფორმაციები (პასპორტის/პასპორტის მონაცვლე დოკუმენტის ან ეროვნულ პირადობის მოწმობაში არსებული ინფორმაციები, თუ აქვს უცხოეთის პირადობის ნომერი, ჩვენს ქვეყანაში ვიზა/ვიზისგან გათავისუფლებულებისათვის თურქეთში შემოსვლის თარიღი, თურქეთში დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონეთათვის ამ ნებართვის დაწყება-დასრულების თარიღი) შეიყვანება.“ (საერთაშორისო შრომის გენერალური დირექტორატი, 2019)

თუმცა, 1- წლიანმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ონლაინ-პლატფორმას არავინ იყენებს. სეზონურ სამუშაოზე წამსვლელთა უდიდესი ნაწილი კვლავ არალეგალურ ხერხებს იყენებს დასაქმებისთვის.

„რაღაც პროგრამა არიო გვითხრეს, შეგყავს შენი პასპორტის ინფორმაციაო. მე კი ვიცი ამის შესახებ, მარა არ მისარგებლია. მირჩევნია ისევ ძველი ნაცადი მეთოდები გამოვიყენო წასასვლელად. მირჩევნია ის 1 თვის ფული მივცე შუამავალს და ვიცოდე რო იქიდან ჩამოვიტან რაღაცას. აღრიცხვაზე ყოფნა არ მინდა, რითი შეიცვლება ჩემი მდგომარეობა? უფრო მეტს გადამიხდიან, მონასავით არ ვიმუშავებ თუ პირობები დამხვდება უკეთესი? (25-ე ოპიზრების დასახლება, კაცი)

„საქართველოში თურქეთის საელჩოს მონაცემებით, 2013 წელს სულ 1 558 სამუშაო ვიზა გაიცა, 2014 წელს კი 1 685, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმების მიზნით თურქეთში ქართველების უმრავლესობა სამუშაო ვიზის აღების გარეშე მიდის, ვინაიდან არაოფიციალური მონაცემებით, მათი რიცხვი თურქეთში გაცილებით დიდია.“ (Business Press News, 2015)

სეზონური სამუშაოების გარდა, „ოცნების ქალაქის“ მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული ე.წ „სიგარეტების საქმეში“.

„ სიგარეტების საქმე ერთი შეხედვით მარტივია, მაგრამ დიდ წვალებას მოითხოვს. დილით იღვიძებ, ყიდულობ 2 ბლოკ სიგარეტს, იკავებ სარფში საზღვარზე რიგს და გადადიხარ თურქეთში. იქ გხვდება კაცი, აძლევ ამ 2 ბლოკ სიგარეტს და უგებ 20 ლარს“

ფულის გამომუშავების არსებული სტრატეგია მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შემოსავლის წყარო იყო ასევე. 2018 წლის 24 ივლისს თურქეთის ხელისუფლებამ საქართველოდან ქვეყანაში სიგარეტზე გადმოტანაზე რეგულაციები დააწესა. თურქეთში გადამსვლელ საქართველოს მოქალაქეს სიგარეტის გადატანა 1 თვის განმავლობაში შეეძლო 10 ჯერ გადაეტანა. მას შემდეგ, რაც უამრავი ადამიანი ჩაერთო ამ

არალეგალურ საქმიანობაში, კანონები გამკაცრდა. ახლა მხოლოდ ერთხელაა შესაძლებელი საზღვარზე სიგარეტის გადატანა.

„ სანამ მუშაობდა ეგ საქმე ყოველ დილით ვდგებოდი, ვყიდულობდი და მიმქონდა თურქეთში. მერე ბევრმა ხალხმა გაიგო რომ ასე შეიძლებოდა ფულის გაკეთება და რიგები რიგებზე იყო. ხანდახან 5-6 საათიც ვმდგარვარ რიგში. სიცხე რო დააჭერდა მაშინ იყო ცუდი. მგზავრობაში გინდოდა 5 ლარი, საჭმელიც მთელი დღე რო ხარ ფეხზე იღლები და მოვდიოდი ხან 15 ლარს ვშოულობდი, ხან 20 ლარს. ახლა ეგეც აღარაა.“

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წელს ქვეყანაში 2 მილიონი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ფიქსირდებოდა, 2018 წლის მონაცემებით, ეს ციფრი მილიონ ცხრაასიათასამდე შემცირდა.

ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის დონე 2012 წელს 17,2%-ს შეადგენდა, 2018 წლის მონაცემებით კი ეს ციფრი 12,7%-ს შეადგენს.

„უმუშევრობა იყო ერთ-ერთი მიზეზი რატომაც ჩამოვედით იმერეთიდან. მიწა ჩვენ არ გვაქ, 1 ჰექტარზე მოყვანილი სიმინდით რა გინდა რო ქნა? ოჯახი როგორ უნდა არჩინო. ამიტო გადავწყვიტეთ აქ ჩამოსვლა. ეგება რამე სამუშაო მენახა ბათუმში მშენებლობაზე. მოგეხსენებათ, რომ მშენებლობები არის ბათუმში.“ (53-ე ოპიზრების დასახლება, კაცი)

სამუშაოს ძიების პროცესს ართულებს „ოცნების ქალაქში“ მცხოვრები მოსახლეობის კვალიფიკაცია. რეგიონში ძირითადი სამუშაოები სასტუმროშია, სადაც მოთხოვნებში უცხო ენების ცოდნა, უმაღლესი სასწავლებლის დამადასტურებელი დიპლომი და სამუშაო გამოცდილებაა მითითებული.

არსებული ბარიერი, განათლებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, დაბალი კვალიფიკაცია, მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორია სამუშაოს ძიების პროცესში.

„ სადაც მივედი ყველგან ინგლისური და კომპიუტერი მომთხოვეს. უმაღლესი დიპლომი კიდე. მე არც ერთი არ აღმომაჩნდა. სწავლა მაშინ მივატოვე და თურქეთში სამუშაოთ მაშინ წავედი, როცა 20 წლის გავხდი. გარდამეცვალა მამა და ნაბოლარა დას ვერ დავტოვებდი ისე. ავდექი და წავედი სამუშაოთ. იმის მერე ვარ ესე, დამადეპორტეს და აქ დალაგებას თუ მოვახერხებ სადმე რესტორანში ბათუმში და ისე ვშოულობ ფულს, ისე სახლში ვარ, ბავშვებს ვზრდი.“

ასევე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ სამუშაოს ძიების პროცესში, იმის გამო, რომ მინიმალური სოციალური დახმარება არ მოეხსნათ მაცხოვრებლებს, იძულებულები არიან ხელშეკრულების დადების გარეშე, სიტყვიერი შეთანხმებით იმუშავონ. რაც დამატებით რისკებს ქმნის პროცესში. მოსახლეობა დაუცველია შრომითი ურთიერთობის დროს.

„საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი სტატისტიკის შესახებ გვეუბნება, რომ სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2018 წლის მონაცემებით 7,7%-ს შეადგენს, წინა წელთან შედარებით ვლინდება 0,3%-იანი შემცირების ტენდენცია. 2012 წლის მონაცემებით, მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 8,6% იყო.“ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თ. გ.)



უმუშევრობის დონის მიხედვით, რომელიც რეგიონში არსებულ მონაცემებს ასახავს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2018 წლის მონაცემებით უმუშევრობის დონე 9,1%-ს შეადგენდა.

ბათუმში მიმდინარე სამშენებლო ბუმის გამო, რეგიონის უმუშევართა მნიშვნელოვანი ნაკადი, რომლებსაც სხვა წასასვლელი არსად აქვს სამუშაოს პოვნის იმედით „ოცნების ქალაქში“ სახლდება. რესპონდენტთა ნაწილი, რომლებსაც მეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში გადასვლა დარღვეული სავიზო პირობების გამო არ შეუძლია, ცდილობს სამუშაო ბათუმში მშენებლობაზე იპოვოს. ეს პროცესი კი შეუქცევადათ ზრდის „ოცნების ქალაქის“ დასახლების მასშტაბებს.

„ მე მაგალითად ჩამოვედი და დავსახლდი აქ, იმიტო რო სხვა გზა არ მქონდა. თურქეთში 4 წელი ვცხოვრობდი, მერე მამაჩემი მოკვდა და ჩამოსვლა მომიწია დასაფლავებაზე. რაც ვიშოვე ჩამოვიტანე და დავრჩი ასე, დამადეპორტეს და იქით 5 წელი ვეღარ გადავდივარ. რა უნდა მეკეთებინა, ავდექი და ხელვაჩაურიდან ბათუმში დავდივარ

სტროიკაზე ვმუშაობ 1 წელია უკვე. დღეში 30 ლარს ვშოულობ, თუ გამიმართლებს 40 ლარსაც და ასე გაგვაქვს თავი.'' (53-ე ოპიზრების დასახლება, კაცი)

სახელმწიფო პოლიტიკა

„2014 წელს, 20-25 იანვრის განმავლობაში ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ნილს მუიჟნიეკსი საქართველოს ესტუმრა.“ (Muiznieks, 2014) ვიზიტის განმავლობაში იგი ჩასული იყო „ოცნების ქალაქში“. წასვლის შემდეგ, მისი ვიზიტი დასახლებაში რეპორტშიც აისახა.

კომისარი წერს, რომ „მათი ცხოვრების პირობები მძიმეა, არ მოდის წყალი, არ არსებობს კანალიზაციის სისტემა. ოჯახები არ იღებენ შესაბამის ჯანდაცვის სერვისებსა და სოციალურ დახმარებას. ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას ამ პირთა ელემენტარული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მათთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შესაქმნელად“. (ხითარიშვილი & თავდგირიძე, 2017)

მას შემდეგ, რაც დასახლება ევროკომისრის ანგარიშში მოხვდა, ადგილობრივმა თვითმმართველობამ სწრაფად დაიწყო პრობლემის მოსაგვარებლად ნაბიჯების გადადგმა. უფრო ზუსტად, შეიცვალა ელექტროენერგიის გაყვანილობის სისტემა, სოციალურად დაუცველ ოჯახებს უფლება მისცეს ეჭამათ მუნიციპალიტეტის სასადილოებში.

ხელისუფლება დასახლების შექმნის დღიდან მოყოლებული ცდილობდა პრობლემის დაკონსერვებას. ამის მიზეზია ის, რომ ამ დრომდე არ არსებობდა არანაირი სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის რაოდენობისა და საჭიროებების შესახებ. უფრო მეტიც, მმართველ პოლიტიკურ ძალას არჩეული აქვს მოსახლეობის მარგინალიზების პოლიტიკა.

მაშინდელი აჭარის მთავრობის თავჯდომარე, არჩილ ხაბაძე, ჟურნალისტ ოლიკო ცისკარიშვილთან ინტერვიუში ამბობდა, რომ „დასახლებაში მაქსიმუმ 50 ოჯახი საჭიროებდა დახმარებას. დანარჩენს არანაირი დახმარება არ ეკუთვნის სახელმწიფოსგან.“ (ცისკარიშვილი, 2013)

„ ჩვენ გავაკეთეთ განცხადება და ვთხოვეთ თავიანთ რაიონებში შეეტანათ განცხადებები, ვის რა პრობლემა ქომდა. 1200 განცხადება შევიდა, შევისწავლეთ და აქედან, არის კატეგორია, რომელსაც მართლა სჭირდება დახმარება. მაგრამა არის კატეგორია, თითქმის 90 პროცენტი, რომელსაც მინიმუმ საცხოვრებელი აქვს, მაგრამ ზოგი ძმასთან ერთად ცხოვრობს, ზოგი რძალს ვერ იტანს, ზოგსაც პირობების გაუმჯობესება უნდათ, ან ბევრი ცხოვრობს ოჯახში და უნდა გაემიჯნოს ოჯახს. ეს კი სახელწმიფოს მოსაგვარებელი ხდება. ჩვენ იმ ნაწილში რაც სჭირდებათ დავეხმარებით. ზოგს სახურავში წყალი ჩამოსდის, ზოგს ფანჯარა არ აქვს, ზოგს ღობე აქვს გასაკეთებელი, ზოგს ავადმყოფი ყავს და ა.შ. ასეთი ყოფითი პრობლემები მოგვარდება. ამ ტერიტორიაზე 3000-მდე ოჯახი იყო, ახლა 800 დარჩა. დარჩება ის რაოდენობა, ვინც მართლა მისახედია. მაქსიმუმ 50 ოჯახი იყოს, რომელსაც მართლა ეკუთნის სახელმწიფოსგან მიხედვა,” –აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე. ” (ცისკარიშვილი, 2013)

ეს მნიშვნელოვანი ინტერვიუს ტრანსკრიპტი საშუალებას მოგვცემს დინამიკაში დავაკვირდეთ სახელმწიფო პოლიტიკის ცვალებადობას.

თავდაპირველად, პრობლემის დაკონსერვებასთან ერთად, სახელმწიფო ცდილობს გაამარგინალუროს დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობა და ამ მიდგომით მოიხსნას მათზე ზრუნვის პასუხისმგებლობა. თუმცა, 2 წელიწადში ვითარება რადიკალურად შეიცვალა.

2019 წლის 6 თებერვალს, საგანგებო ბრიფინგზე, აჭარის მთავრობის თავჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ ე.წ „ოცნების ქალაქში“ კორპუსების მშენებლობის გადაწყვეტილება დააანონსა.

ბრიფინგზე აჭარის მთავრობის თავჯდომარემ განაცხადა, რომ 2019 წელს მიმდინარე კორპუსების მშენებლობისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან 10 მილიონი ლარის მობილიზება იყო დაგეგმილი. საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის ნებართვა ორმა კომპანიამ - შპს „გეოანალიტიკამ“ და შპს „სენსონიმ“ მოიპოვა. პარალელურად, მიმდინარეობს რეგისტრაციის პროცესი, საიდანაც ირკვევა, რომ ოცნების ქალაქში ამ დროის მონაცემებით 1727 ოჯახია რეგისტრირებული. არსებული სტატისტიკა წინააღმდეგობაში მოდის ხელისუფლების აქამდე არსებულ სტატისტიკასთან. წინა წლებში, არჩილ ხაბაძის განცხადებით ოჯახების რაოდენობა 800 არ აღემატებოდა.

„მშენებლობის პროცესი შეფერხებით მიმდინარეობს. მაგალითად, 2019 წლის 2 ივლისს, დასახლებაში კორპუსების აშენებაზე პასუხისმგებელი კომპანია სამინისტრომ 24,000 ლარით დააჯარიმა, რადგან დათქმულ ვადაში ვერ წარადგინა საპროექტო განაცხადი. (ჯორბენაძე, 2019)

„ მოსულები იყვნენ ჩვენთან. აღწერები დაიწყეს და არკვევენ რამდენი ოჯახია რეალურად ვინც ცხოვრობს „ოცნების ქალაქში“. რა მაგარია, 7 წელია გვაწვიმს, გვათოვს და ახლა მოვიდნენ, ამდენხნიანი აქციების და ყვირილის შემდეგ. „ (25-ე ოპიზრების დასახლება, ქალი)

ასევე, რესპონდენტები ჰყვებიან, რომ მომავალში აშენებული ბინების გადაცემის კრიტერიუმები საკმაოდ ბუნდოვანია. არ არსებობს ერთიანი ბაზა, რომელშიც მოხდება რეალური საჭიროებების მიხედვით ბინის გაცემის სტრატეგიის შემუშავება. ინტერვიუში ჰყვებიან პარტიული კუთვნილებით ბინის მიღების დაპირებების შესახებაც.

„ ძალიან გაურკვეველია მდგომარეობა რაც ახლა ხდება დასახლებაში. გვითხრეს აღწერას ვაკეთებთო, მოსულები იყვნენ, ჩაიწერეს ბლოკნოტში რაღაცები, რა ჩაწერეს კაცმა არ იცის. ისიც გავიგე, რომ აქ ვინც ქართული ოცნების მხარდამჭერია, იმათ უფრო დიდი აქვთ შანსები ბინა მიიღონ. მაგათიდან უნდა დაიწყონო ასე ამბობენ და არ გამოვრიცხავ რო ასე არ იყოს“ (53-ე ოპიზრების დასახლება, ქალი)

2012 წლიდან სახელმწიფოს პოლიტიკა იყო ის, რომ მას პოლიტიკა არ ჰქონდა. მოსახლეობა წინასაარჩევნოდ ვერ ქმნიდა ელექტორატს, რამდენადაც იურიდიული მისამართები დამეწყრილ ტერიტორიაზე ან საერთოდ არ ჰქონდა. შესაბამისად, არჩევნებზე მათი ჩართულობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალი იყო.

ახალი გეგმის მიხედვით, საცხოვრებლის აშენების შემდეგ, მოსახლეობა მნიშვნელოვანი ელექტორატი იქნება ადგილობრივი თუ ცენტრალური არჩევნების მოსაგებად. როგორც ზემოთ ავღნიშნე, ამ დროის მონაცემებით, 1727 ოჯახია რეგისტრირებული.

„ ადრე არავის ვაინტერესებდით. არავინ მოდიოდა წინასაარჩევნო შეხვედრებზეც კი ხმა მომეცითო. არც ოცნება და არც ნაციონალები. იმიტო რო იცოდნენ ჩვენ მაინც ვერ მივცემდით ხმას, სად წავიდოდით, ვინ წავიდოდა ხმის მისაცემად ხულოში? უმეტესობას ჩაწერა საერთოდ არ აქვს. ამიტო ვიყავით ასე მიტოვებულები. ახლა რო მიხვდენ რო ბევრი ვართ და არის ხმის მიღების შესაძლებლობა ამიტო მოუხშირეს მოსვლას. როგორც კი კორპუსების აშენებაზე წავიდა ლაპარაკი ყველა პარტია მოვიდა, ბუკლეტებს გვირიგებდა და გვეუბნებოდა ჩვენ მოგვეცით ხმა, ჩვენ აგვირჩიეთო.“ (25-ე ოპიზრების დასახლება, ქალი)

ინტერვიუში, რესპონდენტები ჰყვებიან მინიმალური სოციალური კეთილდღეობის მიღების მიზნით, დასახლებაში მცხოვრები ადამიანების პარტიულ პროცესში მონაწილეობის შესახებ.

ქართული ოცნება, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, აქტიურად იყენებდა მოსახლეობას წინასაარჩევნო შეხვედრებისთვის. იყო შემთხვევები, როდესაც გარკვეული რაოდენობა მოსახლეობის ბათუმში ჩაიყვანეს შეხვედრაზე.

„ აქ რო გაიგეს კორპუსები შენდებაო ერთმანეთს ასწრებენ უკვე. ნაციონალები იყვნენ მოსულები და ჩვენ მოგვეცით ხმაო, წამოგვყევითო. ქართული ოცნება იყო მოსული ჩვენ მოგვეცითო. ვიღაცები წაყვანილიც ყავდათ შეხვედრაზე ბათუმში. ბუკლეტებს არიგებდნენ. გვპირდებიან ყველა ოცნება აგიხდებათო და ნამდვილ ოცნების ქალაქში იცხოვრებთო. (25-ე ოპიზრების დასახლება, ქალი)

„ კორპუსების მშენებლობაზე მიდიოდა ლაპარაკი ადრეც. იმედიანად კი ვართ განწყობილები, აბა აქაურობას რო შეხედავ რა უნდა იფიქრო, იმედის გარდა შეიძლება რამემ გაგაძლებინოს? იმედია არ მგვატყუებენ კიდე და მალე აგვიშენებენ კორპუსებს და ვინ ოცნებაა და ვინ ნაციონალი ან ნათელაშვილის ამომრჩეველი მაგით არ მიიღებენ ბინებს“ (25-ე ოპიზრების დასახლება, კაცი)

ზრდის დინამიკა 2012-2019 წლებში

ადგილობრივები იხსენებენ, რომ 2012 წლის შემოდგომაზე, „ოცნების ქალაქი“ 1 ჰექტარზე გაშენდა, რომელიც 50 მუყაოს სახლისგან შედგებოდა. ზამთარში, გაუსაძლისი პირობების გამო, ოჯახები იძულებულები გახდნენ დაეტოვებინათ დაკავებული ტერიტორია. 2013 წლის გაზაფხულზე დასახლებისკენ მიგრაციის ახალი ტალღა დაიწყო და „მუყაოს ქალაქი“ რამდენიმე ჰექტარზე გაიშალა.

„ მე იმ 50 ოჯახში შევდივარ, ვინც აქ მოვიდა პირველად და დასახლდა. არავინ არ ვიცნობდით ერთმანეთს თითქმის, გავიგეთ ასე საერთო ახლობლებისგან რომ ერთი შესახლდა, მერე მეორე, მერე მესამე, ჩვენც ავდექით და მოვედით. ის ზამთარი ყველაზე ცივი იყო რაც კი ზამთარი მახსოვს. დენი არ იყო, წყალი არ იყო და ვერ გავჩერდით. დათბა თუ არა სხვა რა დაგვრჩენოდა... ჩამოვედით ისევ და დავიწყეთ სახლის მშენებლობა.. სახლის გადაჭარბებული ნათქვამია ‘’ (53-ე ოპიზრების დასახლება, კაცი)

Google earth-ის საშუალებით, იმისათვის, რომ ზრდა დინამიკაში უფრო თვალსაჩინო იყოს, მოვნიშნე ორი პირობითი თარიღი და სურათების სახით თან დავურთე ნაშრომს.

პირველ სურათზე თანამგზავრის საშუალებით გადაღებული53-ე ოპიზრების დასახლება ჩანს 2014 წლის 11 ივნისს. (იხ. სურათი N1)



მეორე სურათზე იმავე დასახლება, 2019 წლის 19 მაისს. ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ დასახლება მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლების განმავლობაში, ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მუყაოს ქოხები კაპიტალურმა, ქაოსურმა განაშენიანებამ ჩაანაცვლა, რაც ბიდონვილებისთვისაა დამახასიათებელი.

ტერიტორია საწყის ეტაპზე საკმარისი იყო დასახლებაში შემოსული ყველა ახალი ემიგრანტისთვის. თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც მასშტაბებში ვერ მეღარ გაიზარდა ბიდონვილა,ადგილობრივ მოსახლეობაში წარმოიქმნა დავები ტერიტორიაზე. ეს სოციალური მოვლენა, ერთ-ერთი ინდიკატორია ბიდონვილის ზრდის დინამიკაზე დაკვირვების.

„თავიდან რომ ჩამოვედით ადგილები ყველგან იყო, მისულიყავი და აგეშენებინა მუყაოს ქალაქი სადაც გინდოდა. არავინ მოვიდოდა და არაფერს გეტყოდა. მე იმ 50 ოჯახში შევდივარ ვინც პირველად ჩამოვიდა და დასახლდა. ამიტომ კონფლიქტები და ჩხუბები არ მომსვლია არავისთან. ტერიტორია შემოვღობე და ასე ავაშენე ოჯახისთვის გადახურვა. მაგრამ კი, შემიძლია გავიხსენო ტერიტორიის გამო დაპირისპირებები“ (53-ე ოპიზრების დასახლება, კაცი)

მოსახლეობას შეუძლია განსაკუთრებით ბოლო დროს მომხდარი დავების გახსენება ტერიტორიის მიზეზით, რომელიც ფიზიკურ დაპირისპირებაშიც გადაიზარდა და სიტუაციის განსამუხტად სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ „ოცნების ქალაქში“. ასევე საინტერესოა იმის ანალიზი, დავების მოგვარების რა ალტერნატიული ხერხები არსებობს დასახლებაში.

რესპონდენტთან ინტერვიუში გამოჩნდა, რომ დასახლებაში არსებობს ე.წ არაფორმალური ავტორიტეტი, რომელიც ტერიტორიული დაპირისპირების გადაწყვეტის პროცესში აქტიურად მონაწილეობს. აღსანიშნავია ისიც, რომ დაურეგისტრირებელ მიწაზე სამოქალაქო დავების დაწყება შეუძლებელია, ამიტომ ადგილობრივებს უწევთ თვითგადარჩენის სტრატეგიების დამოუკიდებლად ადმინისტრირება.

„მიწაზე ჩხუბები ადრე არ იყო, ცოტა რომ ვიყავით. სადაც გინდოდა მოხაზავდი იტყოდი ეს იქნება ჩემი და ააშენებდი, ვერავინ ვერაფერს გეტყოდა. ახლა სხვანაირადაა ყველაფერი. ჩამოვიდა ხალხი, ნაწილმა ისიც გაიგო ბინებს იძლევიანო და ჩვენც დავიწყოთ ცხოვრება ეგება შეგვხვდესო, ნაწილმა ააშენა სახლი დატოვა და თვითონ სხვაგან ცხოვრობს და მუშაობს. როცა ეს ჩხუბები ხდება არიან აქ ხალხი ვისაც ჭკუას ეკითხებიან, იმათთან მიდიან და ირჩევა საქმე. აბა სხვანაირად როგორ უნდა მოგვარდეს. ერთ დღეს იჩუბებენ, მეორე დღეს, მესამე დღს. ხომ უნდა დასრულდეს? „ (25-ე ოპიზრების დასახლება, კაცი)

რესპონდენტთა ნაწილს აქვს ლეგიტიმური წუხილები, რომ დასახლებაში შემოსულ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს არ აქვთ ის სოციალური საჭიროებები, რომ მათი შევიწროვების ხარჯზე შემოისაზღვრონ ეზო და სახლები ააშენონ.

„ ბოლო პერიოდში შემოდიან კარგი მანქანებით, მე არ ვამბობ რომ ყველა. ნეტა ყველას ჰქონდეს მაგის საშუალება. მცირე ჯგუფია, რომელსაც ბინები აქვთ ბათუმში, მაგრამ აქაც აშენებენ. როცა იქნება სახელმწიფო ხომ გადმოგვიგდებს რაღაცასო. დაკეტილია ხშირად ასეთი ადამიანების სახლები. კარგია რო ესენი ძალიან ცოტა არიან ათასობით გაჭირვებულების შიგნით.“ (53-ე ოპიზრების დასახლება, ქალი)

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ დასახლებაში ასეთი ტიპის მცირე ჯგუფის შემოდინებას, სახელმწიფო განცხადებული მარგინალიზაციის პოლიტიკის პირობებში აქტიურად იყენებდა სათავისოდ. საინფორმაციო ომში რამდენიმე დეტალურად შესწავლილი საქმით პოზიციონირებდა, სადაც ცალსახა იყო ის ფაქტი, რომ მათ სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ჰქონდათ.

ასეთი გადაცემა საზოგადოებრივ მაუწყებელზე 2015 წლის 29 იანვარს გავიდა ეთერში. რეალური სივრცეს სტუდია „ოცნების ქალაქის“ მაცხოვრებლებს დაეთმოთ, სადაც მოპასუხე მხარედ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, რამაზ ჯინჭარაძემ მოპასუხე მხარესთან არგუმენტაციისთვის მოიშველია რამდენიმე ოჯახის შესწავლილი ფაქტი, რომ მათ არ სჭირდებოდათ სახელმწიფოსგან სოციალური დახმარება, ან უკვე ჰქონდათ მიღებული.

„ვიღაცეები გამოდიან ტელევიზორში, ჩვენი მთავრობა და ხალხს ეუბნება ესენი გიჟები არიან, აქვთ სხვაგან სახლები და მაინც რჩებიან ამ წუმპეში. მე გიჟი ვარ სხვა წასასვლელი მქონდეს და ამ ჯოჯოხეთში ვცხოვრობდე? გამოყავთ 3 ოჯახი, ლანძღავენ სახალხოდ, ეუბნებიან შენ გაქ ბინა და რატომ ცხოვრობ აქო და მერე ისე აჩენენ რომ ვითომ ყველა მაგნაირები ვართ. “ (25-ე ოპიზრების დასახლება, ქალი)

დასკვნა

ბიდონვილების ზრდის პროცესი აქტიური ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად მიმდინარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

კვლევის ფარგლებში სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზმა აჩვენა სამოქმედო სტრატეგიაში არსებული სისტემური ხარვეზები. წინა წლებისგან განსხვავებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს მიდგომები რადიკალურად აქვთ შეცვლილი. ერთიანი მონაცემებთა ბაზის არარსებობის პირობებში, შეუძლებელი იყო დასახლებაში მცხოვრები მოქალაქეების იდენტიფიცირება მათი სოციალური საჭიროებების მიხედვით. სახელმწიფოს განახლებული პოლიტიკა მოსახლეობის აღწერას და ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნას ითვალისწინებს. აქ კიდევ ერთხელ ნათლად ჩანს ზრდის დინამიკის მნიშვნელობა, რომელსაც სახელმწიფო გამარგინალურების პოლიტიკით ვერ გაუმკლავდა და დიდი სოციალური აფეთქების თავიდან ასაცილებლად ცდილობს გადარჩენის სტრატეგიების ადმინისტრირებას, რომლის ერთ-ერთი მაგალითი კორპუსების მშენებლობის შესახებ გაკეთებული განაცხადია. თუმცა, კვლევის პროცესში გამოიკვეთა მთელი რიგი ჩავარდნები ამ თვალსაზრისითაც. რესპონდნეტთა ნაწილმა ისაუბრა პარტიული კუთვნილებით ბინების გადაცემის რისკებზე.

ასევე, მოსახლეობის გაღარიბების უმნიშვნელოვანეს მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ დეინდუსტრიალიზაციისა და პრივატიზაციის შეუქცევადი პროცესი საბჭოთა იმპერიის შემდეგ. მაიკ დევისის თეორიით, თუ ბიდონვილების ზრდის მიზეზი გლობალურ

სამხრეთში დასავლური იმპერიალიზმია, ჩვენს შემთხვევაში დეინდუსტიალიზაცია და პრივატიზაციის მახინჯი ფორმა გახდა ბიდონვილების წარმოქმნის მიზეზი.

ყველა გამოკითხულ რესპნდენტს აქვს ან წარსულში ჰქონდა საბანკო ვალდებულება, რომელთა გადაუხდელობის შემდეგ რამდენიმე მათგანმა დაკარგა სახლი ან სხვა უძრავი ქონება. ბანკების წმინდა მოგება წლიდან-წლამდე მნიშვნელოვნად იზრდება, ასევე გაზრდილია უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების რაოდენობა, შედეგად დაუბრუნებელი ვალების გამო ათასობით ადამიანი სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინშია და ელოდება სახლიდან იძულებით გამოსახლების პროცედურის დაწყებას.

სახელმწიფოს მიერ არჩეული ნეოლიბერალური ეკონომიკური მოდელი ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, ბანკებისთვის მრავალპროფილიანი ბიზნეს-საქმიანობის აკრძალვას, სოფლის მეურნეობაში ინვესტიციებს, მოქალაქეების გადამზადებას. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ზრდის მაჩვენებელი თვიდან -თვემდე იზრდება.

მძიმეა რეგიონში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა. მაღალმთიანი აჭარიდან ეროზიებისა და მცირემიწიანობის პრობლემების მიზეზით უამრავი ადამიანი ჩამოდის ბათუმში ოჯახების სარჩენად. რესპონდენტებთან ინტერვიუში გამოჩნდა, რომ მაღალმთიანი აჭარიდან ჩამოსული ადამიანების ნაწილმა მიიღო სახელმწიფოსგან კომპენსაცია. ეკომიგრანტები წალკიდან კვლავ ელოდებიან კორპუსების მშენებლობის დასრულებას. ადგილზე ნამდვილად ვხვდებით დაკეტილ სახლებს, რომელთა მფლობელებიც სხვაგან ცხორობენ ,თუმცა ზრდის ბიდონვილის ზრდის ტენდენცია აშკარაა.

არაკვალიფიციური პროფესიების, სოციალური დახმარების მოხსნის რისკების მიზეზით, სამუშაოს მოძებნა და მასში ჩართვა მნიშვნელოვანი ბარიერია მოსახლეობისთვის.

ამას თან ერთვის მარგინალობის მაღალი ხარისხი, რომელსაც წლების განმავლობაში სახელმწიფო აწარმოებდა.

საბოლოო ჯამში, კვლევის პროცესში გამოიკვეთა სიღარიბის არაერთი ინდიკატორი, რომელიც ბიდონვილების ზრდის ტემპს აჩქარებს. ჩემს მიერ შემუშავებული ჰიპოთეზა - სიღარიბე, როგორც ბიდონვილების ზრდის განმაპირობებელი ფაქტორი შეგვიძლია დასაბუთებით ვთქვათ რომ გამართლდა.

ბიბლიოგრაფია

Business Press News. (2015, ივნისი 4). Retrieved from https://www.bpn.ge/article/12228-shuamavlis-msxverpli-kartvelebi-romlebsac-turketshi-dasakmeba-surt/

Davis, M. (2005). *Planet Of Slums.*

intermedia.ge. (2017). ტოპ 5 მძიმე მრეწველობის გიგანტი საბჭოთა საქართველოში. Retrieved ივლისი 11, 2019

Muiznieks, N. (2014). *Commisioner For Human Rights Of The Council Of Europe Following His Visit To Georgia.* სტრაზბურგი. Retrieved ივლისი 11, 2019

United Nations Human Settlements Programme. (2003). *Global Report On Human Settlements.*

wikipedia, slum. (n.d.). 2016. Retrieved ივლისი 11, 2019, from ლიტერატურის მიმოხილვა

აღსრულების ეროვნული ბიუროს 4-წლიანი ანგარიში. (2016). Retrieved ივლისი 11, 2019, from www.nbe.gov.ge: http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=32&info_id=8182

გელანტია, თ. (2018). ე.წ "საპოლიციო გამოსახლებების" 7-წლიანი სტატისტიკა. *www.bm.ge*. Retrieved ივლისი 11, 2019, from https://www.bm.ge/ka/article/ew-quotsapolicio-gamosaxlebebisquot-7-wliani-statistika-/17588/

მონბიო, ჯ. მ. (2018). ნეოლიბერალიზმი- იდეოლოგია სადაც ჩვენი ყველა პრობლემის ფესვებია. *European.ge*. Retrieved ივლისი 11, 2019, from http://european.ge/neoliberalizmi-ideologia-sadac-chveni-yvela-problemis-fesvebia/

მსოფლიო ბანკი. (2019). *The World Bank*. Retrieved ივლისი 11, 2019, from https://data.worldbank.org/indicator/FB.CBK.BRWR.P3?end=2017&name_desc=false&start=2004&view=map%20)

პაპავა, ვ. (2015). *საქართველოს ეკონომიკა - რეფორმები და ფსევდორეფორმები.* თბილისი: ინტელექტი.

რეხვიაშვილი, ჯ. (2016). 25 წელი საბჭოთა კავშირის გარეშე. *რადიოთავისუფლება*, 1. Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/otsdakhuri-tseli-sabchota-kavshiris-gareshe/28205498.html

როდრიკი, დ. (2015, ივლისი 23). ნაადრევი დე-ინდუსტრიალიზაციის საფრთხეები, თარგმნა ტატო ხუნდაძემ. *european.ge*, www.european.ge. Retrieved ივლისი 11, 2019, from http://european.ge/naadrevi-de-industrializ/

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. (2018). Retrieved ივლისი 11, 2019, from https://www.bia.ge/Company/7560

საერთაშორისო შრომის გენერალური დირექტორატი. (2019). *სოფლის მეურნეობაში უცხოელი სეზონური მუშების პროექტი*. Retrieved ივლისი 11, 2019, from https://yuminet.ailevecalisma.gov.tr/#/app/giris

საქართველოს ეროვნული ბანკი. (2019). *კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები რეგიონების მიხედვით*. თბილისი.

საქართველოს ეროვნული ბანკი. (2019). *საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკა-მეთოდოლოგია*. თბილისი.

საქართველოს ეროვნული ბანკი. (2019). *ქონებით უზრუნველყოფილი სესხები*. თბილისი.

საქართველოს ეროვნული ბანკი. (n.d.). *კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები*. Retrieved ივლისი 11, 2019, from https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა მოწმეთა დაკითხვისა წესისა და საპოლიციო გამოსახლების წესის ცვლილებას. (2015, დეკემბერი 29). Retrieved ივლისი 11, 2019, from www.president.gov.ge: https://www.president.gov.ge/geo/administraciis-siakhleebi-aq/%E2%80%8Bsaqartvelos-prezidentma-kheli-moacera-mocmeta-dak.aspx

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (n.d.). *სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი სტატისტიკა*. Retrieved ივლისი 11, 2019, from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba

ქაშაკაშვილი, ნ., გვიშიანი, ლ., & ჯანიაშვილი, მ. (2018). უფლება სათანადო საცხოვრებელზე-ძირითადი გამოწვევების ანალიზი. *ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი*, 47.

ცინცაბაძე, & ანანო. (2016). ნეოლიბერალური პოლიტიკის გავლენა შრომით უფლებებზე საქართველოში. *ჰაინრიხ ბიოლის ფონდი*. Retrieved ივლისი 11, 2019, from https://ge.boell.org/ka/2016/04/27/neoliberaluri-politikis-gavlena-shromit-uplebebze-sakartveloshi

ცისკარიშვილი, ო. (2013, ივლისი 23). *Ekofact*. Retrieved ივლისი 11, 2019, from www.ekofact.com: https://ekofact.com/2013/07/23/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%98/

ძველიშვილი, ნატა, & კუპრეიშვილი, თ. (2015). რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში. 52.

ხითარიშვილი, მ., & თავდგირიძე, თ. (2017, იანვარი 11). *ოცნების ქალაქი- ბათუმის გეტო*. Retrieved ივლისი 11, 2019, from https://jam-news.net/%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98/?lang=ka

ჯონსი, ს. (2013). *საქართველო- პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ჯონსი, ს. (2013). *საქართველო- პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ჯორბენაძე, თ. (2019, ივლისი 7). *ოცნების ქალაქში კორპუსების დამპროექტებელი კომპანია სამინისტრომ 24,000 ლარით დააჯარიმა.* Retrieved ივლისი 11, 2019, from https://batumelebi.netgazeti.ge/news/214757/

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

Giorgi Chikhladze

MA program of Sociology

The work is carried out to obtain Master's degree in Sociology

Supervisor:

Amiran Berdzenishvili , TSU, Accociated professor

TSU, Tbilisi

2019